საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 22 03/05/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 100% წილით არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საექიმო ამბულატორიების ლიკვიდაციის დასაწყებად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54 მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 106 [1] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა

მუხლი1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 100% წილით არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საექიმო ამბულატორიების ლიკვიდაციის თაობაზე მიჩნეულ იქნეს მიზანშეწონილად და მიეცეს თანხმობა მოახდინოს დანართში ჩამოთვლილი საექიმო ამბულატორიების ლიკვიდაცია (დანართი თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

ინგა მაღრაძე

ი. მაღრაძე

საკრებულოს თავმჯდომარე